სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდება ტენდერში
გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ე.ტ. №

ქ. თბილისი **---------- 2020 წელი**

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, წარმოდგენილი დირექტორის (---------) სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, (----------), (შემდგომში- მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სატენდერო წინადადების საფუძველზე, (---------) ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2. საქონლის შესყიდვა გულისხმობს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **თიანეთის** არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონისათვის საიზოლაციო ფენის მარაგის (ბალასტი ან ქვიშა-ხრეშოვანი (ფრაქცია 0-120მმ) ან მიწა ან თიხნარი გრუნტი) შესყიდვა დანართი - ფასების ცხრილის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს: ---------- (----------) ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად გაცემული ტოპო-გეოდეზიური აზომვითი დასკვნის მომზადებიდან და ინსპექტირების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 3. მოსაწოდებელი საქონლის შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონელისთვის დადგენილ სტანდარტებს, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებსა და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებს.

3.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიღება ხორციელდება **თიანეთის არასახიფათო ნაგავსაყრელ პოლიგონზე.**

4.2. მოწოდებული საქონლის მოცულობა დადგენილი იქნება შესაბამისი ტოპო-გეოდეზიური აზომვითი სამუშაოების შედეგად გაცემული დასკვნის მიხევით (დასაშვები 5%-იანი ცდომილების გათვალისწინებით (+ -)).

4.3. მიმწოდებელმა შემსყიდველთან შეთანხმებით პოლიგონზე საქონელი უნდა განათავსოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი ტოპო-გეოდეზიური აზომვა. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ანგარიშსწორება მოახდინოს მხოლოდ იმ მოცულობაზე რისი აზომვაც შესაძლებელი იქნება.

4.4. ტოპო-გეოდეზიურ აზომვას განხორციელებს შემსყიდველის დაქირავებული პირი. მიმწოდებელს უფლება აქვს დაესწროს ტოპო-გეოდეზიურ აზომვას.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდება ტენდერში
გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს.

ა) საქონლის მოწოდებისას იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობებით;

ბ) მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- კალედარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს **2020 წლის ----------;**

გ) ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მთლიანი და ჯამური ღირებულება;

დ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელთან ერთად, აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 5% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების 0.3% პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% (ხუთი პროცენტი), მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ავანსის საბანკო გარანტიით განსაზღვრული ვადა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი საავანსო საბანკო გარანტია.

მუხლი 9. უფლებების გადაცემა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 11. ინსპექტირება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსი კოორდინატორი (რეგიონული მართვის საკითხებში) ----------.

11.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მოწოდების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, არაუგვიანეს 2020 წლის ---------- ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №14; საიდენტიფიკაციო კოდი 404942470, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

ხელმოწერა ----------

მიმწოდებელი

ხელმოწერა ----------

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდება ტენდერში
გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს.

2020 წლის --- ე.ტ. №----
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დანართი

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ს გარეშე	სულ ფასი დღგ-ს გარეშე	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	საიზოლაციო ფენა ----------	კუბური მეტრი	2000	---	----.--	----- კალენდარული დღე	თიანეთის არასახიფათო ნაგავსაყრელი პოლიგონი

სულ ჯამი: